„ჩვენი თვითმიზანი უნდა იყოს არა ღარის სტაბილურობა, არამედ მოსახლეობის მყიდველუნარიანობის ზრდა“

„საქართველოში საშემოსავლო და ქონებრივი დიფერენცირება ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში. ყველაზე მაღალშემოსავლიანი მოსახლეობის 10%-ის შემოსავლების თანაფარდობა ყველაზე დაბალშემოსავლიანთან 17/1-თან ნიშნულზეა და ეს მაშინ, როცა ზღვრულ მაჩვენებლად 10/1-თან ითვლება. შესაბამისად, ჩვენ, ფაქტობრივად, გვყავს ზომაზე მეტი ღარიბი და ამავე დროს ისეთი ფენა, რომელიც თავისი სოციალური სტანდარტით ნავთობმომპოვებელი ან სხვა მდიდარი ქვეყნის სოციალურ კატეგორიას უტოლდება“

მრავალმილიონიანი პროექტებია, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, თუმცა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან სახელმწიფოს მიერ აღებული სესხებით. ამით ხდება სახელმწიფო სახსრების ინვესტირება გრძელვადიან პროექტებში და ეკონომიკურ ზრდას ესეც უზრუნველყოფს.

— მიმდინარე წლის ნეგატიური მოვლენების ჩამონათვალში დიდი ალბათობით მოხვდება ანაკლიის პორტიც, რომლის ოპერატორ კომპანიასაც მთავრობა პირობების შეუსრულებლობას ედავება და შესაძლოა წლის ბოლოს ხელშეკრულებაც შეუწყვიტონ...

— ეს არის პროექტი, რომლის ლოგიკური დასასრული დაასაბუთებდა საქართველოში კერძო ინვესტიციების, ბიზნესის სოლიდურ ხასიათს. ეს, ფაქტობრივად, ხელიდან გაშვებული შანსია!

1-ლ იანვრამდე რამდენიმე დღე დარჩა და ყველაფერია მოსალოდნელი. იქნებ კონსორციუმმა მოახერხოს ინვესტორის მოძიება პროექტის გასაბრძოლებლად. ეს პროექტი მიზეზთა გამო გაჭანჭლდა, თუმცა ის აუცილებლად განხორციელდება, ოღონდ კარგი იქნებოდა, მასში მონაწილეობა კერძო სექტორს მიეღო. წინაალმდეგ შემთხვევაში, მისი დასრულება სახელმწიფოს მოუწევს.

— არაერთი დაპირების მიუხედავად, 2020 წელსაც სიღარიბის მაღალი მაჩვენებლით ვხვდებით. რატომ ვერ მოვახერხეთ ამ პრობლემის წელში გადატეხა?

— საქართველოში საშემოსავლო და ქონებრივი დიფერენცირება ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში. ყველაზე მაღალშემოსავლიანი მოსახლეობის 10%-ის შემოსავლების თანაფარდობა ყველაზე დაბალშემოსავლიანთან 17/1-თან ნიშნულზეა და ეს მაშინ, როცა ზღვრულ მაჩვენებლად 10/1-თან ითვლება. შესაბამისად, ჩვენ, ფაქტობრივად, გვყავს ზომაზე მეტი ღარიბი და ამავე დროს ისეთი ფენა, რომელიც თავისი სოციალური სტანდარტით ნავთობმომპოვებელი ან სხვა მდიდარი ქვეყნის სოციალურ კატეგორიას უტოლდება. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში მთავრობები იცვლებოდნენ და ყოველი ახალი მთავრობის ხელმძღვანელი ხაზს უსვამდა ეკონომიკის ინკლუზიურ ხასიათს, ჩვენ მაინც ვერ შევძელით, რომ მოქალაქეთა კეთილდღეობა მაღალ კორელაციაში აგვეყვანა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებთან. ეს უნდა იყოს სერიოზული გამოწვევა და ამოცანა, რომ გაისად ეს კორელაცია გავზარდოთ, წინაალმდეგ შემთხვევაში, ყოველთვის იქნება სოციალური პროტესტის პირდაპირი ან ლატენტური გამოხატვა. ის, რაც ახლა ხდება პოლიტიკაში, გაცილებით ნაკლები იქნებოდა, ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობა 1,5-2-ჯერ მაღალი რომ იყოს.

— მომავალი წელი საარჩევნოა, რაც ნიშნავს, რომ ინვესტორები კიდევ უფრო ფრთხილ და მოზომილ ნაბიჯებს გადადგამენ. უნდა ველოდოთ რამე გარდამტეხ ცვლილებებს ეკონომიკაში?

— სხვათა შორის, წლეულს საკმაოდ საინტერესო საინვესტიციო ხელშეკრულებები დაიდო, რომელთაც მაღალი მულტიპლიკატორული ეფექტი ექნება ეკონომიკური ზრდაში. მათ შორის არის აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტობანის მშენებლობაც. მხოლოდ სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ბიუჯეტიდან 3,5 მილიარდი ლარის გამოყოფაა გათვალისწინებული და ვფიქრობ, დასაქმების ზრდას ესეც შეუწყობს ხელს, ხოლო მაღალი ეკონომიკური ტემპის პირობებში შესაძლებელი იქნება განსაზღვრული ნაბიჯების გადადგმა მოსახლეობის კეთილდღეობის გასაზრდელად. ჩვენი თვითმიზანი უნდა იყოს არა ლარის სტაბილურობა, არამედ მოსახლეობის მყიდველუნარიანობის ზრდა. იაპონიაში დაახლოებით 120 იენა ღირს 1 დოლარი, მაგრამ ამით იაპონელები დისკომფორტს არ განიცდიან. მთავარი ის კი არ არის, როგორი კურსი აქვს ლარს დოლარის მიმართ, მთავარია, დროის ყოველ მომდევნო პერიოდში ლარის მასით მოსახლეობის მყიდველუნარიანობა იმაზე მეტი იყოს, ვიდრე გასულ პერიოდში.

ემა ტუხაშვილი

ქირურგიის ეროვნული ცენტრის კიდევ ერთი წარმატებული პროექტი

ქირურგიის ეროვნული ცენტრის კლინიკა „ახალ სიცოცხლეში“ სამეანო-გინეკოლოგიური დეპარტამენტი განახლდა და ხელახლა აღიჭურვა

ალბათ, სიმბოლურია, რომ 17 დეკემბერი, ბარბარობა დღე, ქირურგიის ეროვნულმა ცენტრმა კიდევ ერთი წარმატებული პროექტის, კლინიკა „ახალი სიცოცხლის“ განახლებული სამეანო-გინეკოლოგიური დეპარტამენტის გახსნით აღნიშნა და საზოგადოებას სამწლიანი თავდაუზოგავი მუშაობისა და მიღწეული შედეგების შესახებ ერთგვარი ანგარიში წარუდგინა. სამი წლის წინ „ახალი სიცოცხლე“ ქირურგიის ეროვნული ცენტრის ნაწილი გახდა და ამით კლინიკამ მართლაც ახალი სიცოცხლე შეიძინა. „კვირის პალიტრა“ კლინიკა „ახალ სიცოცხლეს“ ესტუმრა.

პაატა კურტანიძე, *კომპანია „ავერსის“ დამფუძნებელი:* — სამი წლის წინ, როცა აქ პირველად მოვედით, კლინიკას ძალიან ცოტა პაციენტი ჰყავდა და კოლექტივი ძალიან შეწუხებული იყო! ჩვენ დავიწყეთ ფიქრი, როგორ დაგვეწყო კლინიკის განვითარება. გადავწყვიტეთ, „ახალი სიცოცხლე“ ყოფილიყო არა მონოპროფილური სამშობიარო კლინიკა, არამედ მრავალპროფილური. ჩვენდა სასიხარულოდ, მეან-გინეკოლოგებიც ძალიან დადებითად შეხვდნენ ამ სწორ და საჭირო გადაწყვეტილებას, რამაც, ფაქტობრივად, გაამართლა...

„ახალ სიცოცხლეში“ დაიწყო სულ უფრო და უფრო მეტი მშობიარის შემოდინება და დღესდღეობით მეან-გინეკოლოგიური დეპარტამენტი საკმაოდ დატვირთულია. მიზეზი მარტივია — აქ უკვე არის შესაძლებლობა, რომ კლინიკამ მძიმე მშობიარეებიც მიიღოს და ნებისმიერ სირთულეს გაუმკლავდეს, იმიტომ, რომ აქვე არის რეანიმაცია, ზოგადი ქირურგია, თითქმის ყველა სხვა დარგის სპეციალისტი.

ამასთანავე, კლინიკას ახალი ტექნოლოგიური შესაძლებლობები გაუჩნდა, ის ულტრათანამედროვე და უნიკალური აპარატურით აღიჭურვა. ჩვენ შევიძინეთ იაპონური წარმოების SHIMADZU-ს რენტგენოგრაფი და 160-შრიანი კომპიუტერული ტომოგრაფი TOSHIBA Aquilion Lighting-ი, ფინური PLANMED-ის წარმოების მამოგრაფი ტომოსინთეზის უნარით, ექსპერტული კლასის ექოსკოპია General Electric Voluson E10, ულტრათანამედროვე ლაბორატორია და ა.შ. ასეთი ტექნიკური შესაძლებლობებით ბევრი კლინიკა ვერ დაიკვეხნის.

საუკეთესო შედეგი მივიღეთ, რაშიც ძალიან დიდი წვლილი მედპერსონალს მიუძღვის. მათ ყველაფერი გააკეთეს, რომ პაციენტები მადლიერი და კმაყოფილი დაეტოვებინათ, ეს გრძნობა კი საოცრად გადამდებია, რადგან ეს პაციენტები „ახალ სიცოცხლესთან“ თავიანთ დამოკიდებულებას უზიარებენ ნაცნობებს, მეგობრებს, ახლობლებს და ურჩევენ, რომ საჭიროების შემთხვევაში „ახალ სიცოცხლეს“ მომართონ, რაც ჩვენთვის ძალიან სასიხარულოა.

— თავიდან თუ გქონდათ მცირედი ეჭვის საფუძველი, რომ მრავალპროფილურობას შეიძლება არ გაემართლებინა?

— რა თქმა უნდა, ვფიქრობდით ამაზეც... არ არის მარტივი, რომ კლინიკა, რომელსაც წლების განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ სამშობიაროს იმიჯი აქვს, ხელის ერთი მოსმით მრავალპროფილურად აქციო! (ეღიმება). ამას სჭირდება გონივრული მიდგომა, სათანადო ინვესტიცია, ყველა რგოლის სათანადო მუშაობა და თავდაუზოგავი შრომა. ის, რომ აქ თითოეულ პაციენტს ზედ ჰყვებიან, მაქსიმალურად ზუსტ დიაგნოზს უსვამენ და მთელი ეს პროცესი (რასაც გამოჯანმრთელება თუ რეაბილიტაცია ჰქვია) მიჰყავთ ბოლომდე, შედეგიც სახეზეა. სწორედ ამან განაპირობა, რომ „ახალ სიცოცხლეს“ უკვე ბევრი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

— ამბობენ, რომ როგორც პედიატრს, განსაკუთრებული დამოკიდებულება გაქვთ „ახალი სიცოცხლის“ წარმატებისადმი.

— შეიძლება ასეც ითქვას... (ეღიმება). საერთოდ, ნებისმიერ ინვესტიციასა და საქმეს, მათ შორის სამედიცინო დაწესებულებას, სჭირდება იყოს მომგებიანი. „ახალ სიცოცხლესთან“ მიმართებაში არც გვიფიქრია, რაღაც განსაკუთრებული მოგება მიგვეღო, მნიშვნელოვანი ის იყო, მიგვეღწია პაციენტების კმაყოფილებისთვის, რასაც ვიმედოვნებდით, რომ ექიმების პროფესიონალური მუშაობით, ულტრათანამედროვე აპარატურის შეძენით და კლინიკის გარემონტებით მივაღწევდით. საბედნიეროდ, ეს გამოგვივიდა...

თეა გამეზარდაშვილი, *MD, PhD, MHA, ქირურგიის ეროვნული ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:* — სამეანო-გინეკოლოგიური დეპარტამენტის წარმატებას განაპირობებს ორსულთა პატრონაჟის უწყვეტი ჯაჭვი — ქალთა კონსულტაციით დაწყებული, მშობიარობით დამთავრებული. ამ მიმართულებით ჩვენს უახლოეს გემებს რაც შეეხება, უკვე მოწყობილი გვაქვს და ორი წელია ფუნქციონირებს ახალშობილთა ინტენსიური თერაპიის დარბაზი, სულ მალე კი მას ახალშობილთა რეანიმაციაც დაემატება. ვგეგმავთ ნოვატორული პროექტის განხოციელებას — ადამიანის რძის ბანკის შექმნას, რომელიც ახალი სიტყვა იქნება ქართულ რეალობაში და არა მხოლოდ. ეს სერვისი არ არის დანერგილი არც ერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, ჩვენ შვედეთის გამოცდილებით ვხელმძღვანელობთ. რძის ბანკი საშუალებას მოგვცემს ახალშობილები, განსაკუთრებით დღენაკლულები, ადამიანის რძით გამოვკვებოთ, რაც მათ გადარჩენაში, ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და აღდგენაში დაეხმარება. ბატონი პაატა, რომელიც პროფესიით პედიატრია, ამ იდეას დიდი ენთუზიაზმით შეხვდა, თუმცა პროექტისგან განსაკუთრებულ ფინანსურ ბენეფიტებს არ ველით. ეს კიდევ ერთი საქვეყნო საქმეა, ჩვენი სამშობლოსთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი პროექტი, რომლის განხორციელებაც უკვე შევძელით ინსულტის ცენტრის (ის ასევე ერთადერთი სრულყოფილი ცენტრია საქართველოში), კლინიკური ონკოლოგიისა და მულტიპროფილური რადიაციული თერაპიის დეპარტამენტებისა და სხვათა სახით.

ეკა ასათიანი

R